№ 130 თიბათვე 23, პარასკევი 18 თიბათვე 23, პარასკევი № 130

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი 1877—1889

## რომელთა აქუნდესთ ყურნი სმენად, ისმინენ.

ვისაც-კი წელს ჩვენის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლის ანგარიში წაუკითხავს გაზეთებში, უეჭველია შენიშნავდა იმ სამწუხარო ამბავს, რომ წელს ამ სასწავლებლებში კურს-შესრულებულთა შორის ქართველი თითქმის სრულიად არ არის, ხოლო ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც წინა წლებში ოცობით ასრულებდნენ სწავლას ქართველები, წელს მხოლოდ რვა ქართველმა დაამთავრა სწავლა. სხვა გიმნაზიებში-კი, ასე გასინჯეთ, კურს შესრულებულ ურიებისა, პოლონელებისა და გერმანელების რიცხვი ქართველთ რიცხვზედ მეტია. ჩვენს რეალურს სასწავლებელში არც ერთს ქართველს არ შეუსრულებია წელს სწავლა... ნუ თუ ეს ამბავი საყურადღებო არ არის ჩვენთვის? ნუ თუ ამ სამწუხარო გარემოებამ არ უნდა შეაძრწუნოს ყოველი ქართველი, რომელსაც-კი რისამე გაგება შეუძლიან? ამაზე უფრო გულსაკლავი, სამწუხარო და სადარდელი ამბავი განა სხვა კიდევ მოიპოვება ეხლა ჩვენს ცხოვრებაში?! წარმოიდგინეთ, იმ დროს, როცა მთელმა ქვეყანამ შეიგნო სწავლა-განათლების მნიშვნელობა, როცა თითქმის ყოველი შეგნებული ერი რაც ძალი და ღონე აქვს ჰზრუნავს მოზარდი თაობა დროების შესაფერად აღზარდოს, ჩვენს საშუალო სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი თანდათან კლებულობს და ლამის არის სრულიადაც გადავარდეს ქართველის ხსენება ამ სასწავლებლებში.

იქნება ვინმემ იკითხოს მიზეზი ასეთის სამწუხარო ამბავისა. მიზეზი ძალიან ბევრია, ბატონებო, მაგრამ ამ მიზეზებს ჩვენ აქ ვერ გამოვუდგებით, რადგანაც ერთი რომ ეს ძლიერ შორს წაგვიყვანს, და მეორეც ისა, რომ ზოგზე ლაპარაკი და სჯა მოუხერხებელი მიგვაჩნია. ესეც რომ არ იყოს, ამ მიზეზების შესახებ ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი და დღეს ვგონებთ ყველა შეგნებული აქვს. ჩვენთვის ეხლა მხოლოდ თვით ამბავია საყურადღებო და ამიტომ ის უნდა ვიკითხოთ, როგორ მოქმედობს ქართველი საზოგადოება იმ დროს, როცა ჩვენი ახალ-თაობის აღზრდა საქმე ამ გვარს სამწუხარო და ამიშ მდგომარეობაშია? სრულიადაც არაფერს: როგორც სხვა საზოგადო საქმეებში, ისე ამ საქმეშიც ჩვენ ჩვენი ქართველური გულგრილობა, უზრუნველობა და დაუდევრობა გამოვიჩინეთ.

აი, მაგალითად, ამ ორი-სამის წლის წინად ჩვენი თავად-აზნაურობა თითქო ერთგულად სცდილობდა სამუდმო და საიმედო საშუალება აღმოეჩინა თავისის შვილების აღსაზრდელად და, შემდეგ დიდის ბაასისა, გადასწყვიტა განაწილება და გაწერა, შეძლებისა დაგვარად, სასკოლო ხარჯისა თავის წევრთა შორის. ყველას გვეგონა, გაკეთდა საქმეო და ეშველა ჩვენს შვილებსაო, და მართლაც, ეს გონივრული გადაწყვეტილება რომ საქმით დაგვირგვინებულიყო, დიდი საქმე გაკეთდებოდა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ საქმისა დღეს არა ისმის-რა, თუმცა შემთხვევა და საშუალება გვქონდა ეგ საქმე ჩვენდა სასიკეთოდ გადაგვეწყვიტნა.

ამას გარდა, ამ ერთის წლის წინად გაიმართა ჩვენს საზოგადოებაში ბაასი ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლის გადასხვაფერების გამო. ბევრი ვილაპარაკეთ და ვსაჯეთ: ზოგნი იძახოდნენ, სრულ გიმნაზიად გადავქმნათ ჩვენი სკოლაო; ზოგნი კიდევ პროფესიონალურ სკოლის გამართვას ამჯობინებდნენ და სხვ. თვით სათავად-აზნაურო სკოლის გამგეობაც ერთგულად შეუდგა ამ საქმეს: გამართა კრებები, რომლებზედაც მიწვეული ჰყავდა, სხვათა შორის, სპეციალისტები; პროგრამებიც-კი შეემუშავნათ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, უსახსროდ არაფერი ხეირიანი საქმე არა გაკეთდება-რა. ამიტომ, როცა საქმე საშუალების მოპოებაზე მივარდა, აღმოჩნდა, რომ არავითარი სახსარი არ მოეპოვებოდა თურმე ჩვენს საზოგადოებას სკოლისათვის. ამ გვარად ეს საქმეც მარტო ლაპარაკით დაბოლოვდა და, იმის ნაცვლად, რომ ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლა წარმატებაში შესულიყო და გაფართოებულიყო, მისი ბედი სულ უკუღმა დატრიალდა. სასკოლო ხარჯის გაწერის საქმე რომ დროზე და სასიკეთოდ დაგვესრულებინა, მაშინ, უეჭველია, სათავად-აზნაურო სკოლის საქმეც კარგად წავიდოდა, ჩვენს შვილებსაც სწავლა-განათლების შეძენის სახსარი მიეცემოდათ და თუ სხვა სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი თანდათან კლებულობს, სამაგიეროდ ჩვენს საკუთარს სკოლაში იმატებდა. კიდევ ვიმეორებთ: თუ გვინდა, რომ ჩვენს შვილებს სწავლა-განათლების გზა არ შევუკრათ, უსათუოდ უნდა ვეცადნეთ, რომ სასკოლო ხარჯის გაწერა საქმედ ვაქციოთ და ჩვენი სათავად-აზნაურო სკოლები მკვიდრად დავაყენოთ ამ ჟამად. ჩვენის აზრით, ეს უმთავრესი საგა-

# ფელეტონი

## აი ისტორია

(წერილი მეთერთმეტე*)

ბაერნისაგან ზეგარდამო შთაგონებულმა ავტორმა Письма о Грузіи-სამ წყურვილი მოიკლა იმაზედ, რომ ვითომც დაგვიმტკიცა, — ქართველები ადამიანის ხორცის მჭამელები იყვნენო სამთავროს სასაფლაოს ხანაში. ეს, რასაკვირველია, არ იკმარა, ვაი თუ მარტო ბაიერნს არ დაუჯერონო და ამიტომაც ქართველების მიერ მკვდრის მჭამლობას თავისი ფილოსოფიური სარჩულიც დაუდვა, ესე იგი, თავისი ავტორიტეტობაც ზედ დააბღერტა და ძლევა-მოსილი ბეჭედი დაჰკრა.

იგი თავის მეორე წერილის 37 გვერდზედ ხელ-აღებით და უცილობელად გვარწმუნებს, რომ მძაფრი, პირ-მქუში (суровая) მთიანი ბუნება საქართველოსი ადვილად არ ემორჩილებოდა ადამიანსაო, მითამ-და ხელს არ აძლევდა, ჰძუნწობდაო და ხშირად სიმშილობის დროს აქ კაცი კაცსა ჰკლავდა საჭმელადაო. ძალიან არა სდომებია ჩვენს ავტორს ქართველები კაცის მჭამელად გამოეყვანა, რომ ამისათვის ეს ჩვენი ტკბილი და თბილი, მდიდარი და უხვი ბუნებაც-კი მძაფრ, პირმქუშ და ხელ-მოუცემელ მწირ ქვეყნად გადააქცია ქვეყნის სასაცილოდ და თავის სასახელოდ. ყველაფერში შეიძლება კაცმა იტყუოს და ასეთი ზორბა, დიდისა და პატარასათვის ადვილად დასანახი ტყუილი კი არ გაგვიგონია. ამის მთქმელს ჯერ ქვეყნისათვის თვალის ჩინი უნდა წაერთმია, ჯერ ყველანი დაებრმავებინა და მერე ეს ამისთანა ტყუილი ეთქვა გასასაღებლად.

ბაიერნის ავტორიტეტობით და თავისის ფილოსოფიით გონება-გაფიცხებული ავტორი ამაზედაც არ შეჩერდა. მისმა გახურებულმა ფანტაზიამ უფრო გააფუა, გაადიდა ეს ჩვენი კაცის მჭამლობა. „რასაკვირველიაო, ამბობს იქვე ავტორი, ამისთანა მწირ ქვეყანაში დამშეულნი პირველ ყოველთა უძლურთა და ულონოებს მისცვივდებოდნენო—სახელდობრ, დედათა და ყრმათაო. ამათ არამც თუ ჰხოცდნენ შესაწირავად, არამედ ჰყიდდნენ კიდეც ზიზილ-პიპილებზედაო“. ამ სახით, ქართველები თავის ცოლშვილსაც არა ჰზოგავდნენ საკლავად და საჭმელად. ეს ამბები აუწყა ჩვენს ავტორს სამთავროს სასაფლაომ ბაიერნის ბაგითა და ბოლოს ხომ მისმა საკუთარმა ფილოსოფიამაც თავისი უტყუარი, უწუნარი და ყოვლად შეუშლელი ბეჭედი დაასვა. სად წაუხვალთ ამ ორ-კეც საბუთებს, მერე იმისთანა კაცებისაგან შემოწმებულს, როგორიც ბაიერნია საზოგადოდ და ჩვენი ავტორი საკუთრივ!

ამავ სამთავრო სასაფლაოსაგან გამოსჩიკა ჩვენმა ავტორმა თავისი დანასკვენი შესახებ ჩვენის სარწმუნოებისაც. იგი ამბობს,—უფრო ადვილად საგულვებელიაო, რომ ძველნი მკვიდრნი მცხეთისანი სამთავროს სასაფლაოს ხანაში, სახელდობრ, მეათე საუკუნეში ქრისტეს წინად, აღიარებდნენ უბრალოს, პირველ დაწყებითს სარწმუნოებას ბუნებისასაო, თაყვანსა სცემდნენ მნათობთა, პირუტყვთა და უსულო საგნებსაც-კიო. ამასვე ჰმოწმობს ქართული მატიანეცაო, რომელიც—ჩვენში-კი ითქვას—სხვა გვარებში არა სწამს ჩვენს ავტორს. ეს „უბრალო, პირველ დაწყებითი“ სარწმუნოებაც-კი შეჰშურდა თითქო ჩვენს ავტორსა და ვინიცობაა სხვამ არ იფიქროს, ვითომ-და ქართველებს აქ მაინც თავისი საკუთარი რამ ჰქონიათო, უმატებს: повсей вѣроятности ქართველებს არავითარი განწყობილი და შემუშავებული წესი არ ექნებოდათ და როცა ხანდისხან მსოფლიო ისტორიის ბედის ტრიალი გადმოჰხვეწდა საქართველოში სხვა წესსა და რიგში ჩაგდებულ რჯულის კაცებს, ქართველები თავის ღმერთების სიას ჩაურთავდნენ ხოლმე ახალ მოსულების ღმერთებსაცა და გადმოიღებდნენ იმათ სიმბოლოებსაცაო. ესეთი თვისება აქვს ყოველ პირველ ყოფილ სარწმუნოებასაო, ჰფილოსოფობს ჩვენი ავტორი (Сѣв. Вѣст. № 2, გვ. 62).

ჩვენ არ ვიცით და ჯერ არც არავინ სხვამ იცის ჩვენის ავტორისა და ბაიერნის მეტმა, რომელს ხანას ეკუთვნიან პირველნი ორის გვარის (რიყის ქვისა და კლდის ქვისა) საფლავნი სამთავროს სასაფლაოსი. მეცნიერთ, რომელთაც ამ მხრით უძიებიათ ეს საქმე, ვერავითარი საბუთი ვერ უპოვიათ ჯერ, რომ ეს ხანა აღრიცხონ და გამოარკვიონ. ვირხოვი, რომელიც ჩვენს ავტორზედ არა ნაკლებ გათქმულია ევროპაში თავისის ცოდნით, ამბობს, რომ სამთავროს სასაფლაოს ნაშთნი უნდა ეკუთვნოდნენ ქრისტეს წინად ორის ათასის წლის კულტურასაო, და სახელდობრ რომელ საუკუნისანი არიან, ამას-კი არ გვიჩვენებს. ჩვენმა ავტორმა-კი ბაიერნის შთაგონებით გამოიცნა ბეჯითად და გადაწყვეტილად, რომ იგი საფლავები ეკუთვნიან ხანას მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნემდე ქრისტეს წინად. მოდით და ნუ იტყვით ქებასა და დიდებას ჩვენის ავტორისას: ჯერ ხომ გაამტყუნა ვირხოვი და მერე ზედ-მიწევნით გამოიცნა სხვა მეცნიერთაგან გამოუცნელი. მაგრამ, ჩვენის ავტორის სამწუხაროდ, აქაც რაღაცა პატარა ზიანი სჩანს. ჩვენ ხელთ არა გვაქვს ბაიერნის წერილი ამის თაობაზედ, ხოლო ბ-ნი დ. ბაქრაძე თავის ახლად დაწერილ ისტორიაში (გვ. 74) გვეუბნება, რომ ბაიერნი სამთავროს სასაფლაოს ხანად სთვლისო დროთა სივრცეს მეექვსე საუკუნიდამ ქრისტეს წინად მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს შემდეგ. თუ ესეა, მაშ აშკარაა, რომ ჩვენს ავტორს თავისი საყვარელი ბაიერნიც-კი ვერ გაუგია და საწყლისათვის ის უთქმევინებია, რაც არ უთქვამს.

ესეა თუ ისე, მივიღოთ ჯერ ხანად ჩვენის ავტორის მეათე საუკუნე და გამოვიძიოთ, —ქართველები ამ ხანაში მართლა იმ მდგომარეობაში ჰყოფილან, რომ თითქო გლახა-მთხოვარებსავით დიდ გზაზედ მსხდარან და გამვლელ-გამომვლელებისათვის ხელი გაუშვერიათ ღმერთები შემოგვეწიეთ სამადლოთა, რადგანაც არა ჰქონიათ რჯული წესსა და რიგში ჩაგდებული და მაშასადამე მტკიცედ და გამორკვეულად არა სწამებიათ-რა. თუ ჰქონიათ რამ, ისიც მარტო პირველ-დაწყებითი რჯული ბუნებისაო, გვეუბნება ავტორი.

ჯერ ვიკითხოთ, საიდამ გამოიყვანა ეს ასეთი ამბავი ჩვენმა ავტორმა? იგი გვეუბნება, რომ სამთავროს საფლავებში ნაპოვნი ნაშთნი მოგვითხრობენ ამასაო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს მაგალითები. სხვათა შორისაო, იქ იპოვეს საცრემლენი: ზოგ ამ პატარა მინის ქურქლებზე სახე წარმოადგენს სიმბოლოს ქალდეურ ჰერკულესისას სანდონისასაო, ზოგი—ბაალისას და მარსისასაო, ზოგი—ეგვიპტელთა მზისასაო. ამ საცრემლოთა შორის იმისთანანიც აღმოჩნდენო, რომ ზედ გამოსახულნი არიან სახენი უწინდელის ქართველ ქალ-ვაჟისაო. ვაჟი გძელ ხუჭუჭ თმიანია და წვერ-მოპარსული და ქალი მხრებზედ ჩამოშლილ თმიანი და თავ-საკრავით მორთულიო. იმავ საფლავებში იპოვნეს ბევრი ვერცხლისა და რკინის ლილები თუ ბალთები, ორი ოქროს საყელური, მინის ქურქელი ვერცხლით შემოსილი და ზედ გამოსახულია საქმენი ჰერკულესის, ქალდეურ სანდონისაო. აქავ ნაპოვნია აბსიდიანის დანა, რომელიც გვაინიშნებსო, რომ ძველი მცხეთელები ცეცხლთაყვანის მცემელნი ჰყოფილანო. მოგვითხრობს რა ყოველს ამას, ავტორი ჰფილოსოფოსობს:

> И такъ, Самтаврскія раскопки... рисуютъ намъ ихъ (грузинъ), начиная съ X в. до Р. Хр. сначала антропофагами, исповѣдывающими элементарную религію природы, превращающуюся мало-по-малу подъ вліяніемъ политической зависимости отъ Мидо-Персіи нѣчто въ родѣ эклетическаго культа, въ которомъ элементы сабаизма, парсизма и слабые слѣды греческаго политеизма мирно уживаются рядомъ, не успѣвая однако, сложится въ систему (Сѣв. Вѣст. № 2 გვერდ. 64).

თუ იმ ნაშთებისაგან, რომელიც ავტორმა ჩამოგვითვალა თავის პირველის წერილის 63 გვერდზედ ამისთანა „И такъ“-ს გამოიყვანს სხვა ვინმე ჩვენის ავტორის გარდა, მაშინ ადამიანმა ხელი უნდა აიღოს ჭკვასა და გონებაზედ, იმიტომ-რომ იმისთვის ერთიცა და მეორეც ტყუილი და მეტი ბარგი იქნება. ეგ მაგისთანა „И такъ“ ხომ დაასკვნა და დაასკვნა, მაგრამ თითქო შეჰშინებია არავინ იფიქროსო ვითომც ამ сабаизмъ-ის, парсизмъ-ის და ბერძნულ политеизмъ-ის შემორევნით ქართველს პატარა ჭკუა და თვალი აეხილებოდაო, ავტორი იქვე მისწრებით უმატებს:

> Если въ древнемъ грузинскомъ культѣ и сказывается нѣкоторое преобладаніе сабаизма, то это легко объясняется тѣмъ, что сабаизмъ является болѣе элементарнымъ и нагляднымъ, а слѣд. болѣе доступнымъ первобытному міровоззрѣнію древнихъ грузинъ, чѣмъ другія религіи.

ამ სახით აფრთხილებს თავის მკით-

*) იხ. „ივერია“ №№ 71, 77, 78, 83, 89, 90, 106, 116, 117 და 118.

ნია, რომლისათვისაც ზრუნვა და შრომა არ უნდა დავზოგოთ...

გ. წულუკიძე

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თთვის 22-ს, ტფილისის სიონის ტაძარში მისი მაღალ ღირსად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი იყო მწირველი იმ უმაღლესის მანიფესტის მიღების გამო, რომელიც შეეხებოდა დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის დაქორწინებას საბერძნეთის მეფის გიორგის ასულ ალექსანდრაზე. მანიფესტი მოვიდა ტფილისში ოთხშაბათს და გუშინ წირვის შემდეგ სიონში დეკანოზ მამა ელიევის მიერ იქმნა სახალხოდ წაკითხული. მანიფესტის წაკითხვის შემდეგ საქართველოს ეგზარხოსმა პალადიმ და ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ტფილისის მღვდლებითურთ გადაიხადეს პარაკლისი. წირვასა და პარაკლისზე დაესწრო დიდძალი ხალხი და დიდ-კაცობა, მის ბრწყინვალების მთავარ-მართებლის თანაშემწეს გენერალ-ადიუტანტის თ. შერემეტიევის უფროსობით. ტაძარი მშვენივრად იყო მორთული წითელის მაუდით და სულ ყველა ქუჩები მეხუთე პოლიციის განყოფილებაში, სადაც ტაძარია, გამშვენებული იყო სამ-ფერის ბაირაღებით. გუშინ მთელი დღე ყველა ეკკლესიებში ჰრეკავდნენ ზარებს. ზარის რეკვა უნდა იყოს სამს დღეს, 22, 23 და 24 ამ თთვისას.

*** პროკურორი ქუთაისის ოლქის სასამართლოსი კოლეჟსკი სოვეტნიკი ბ-ნი კიჩინი უმაღლესის ბრძანებით ამ თთვის 14-ს დანიშნულ იქმნა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად.

*** კვირას, 18 ივნისს, ავლაბარში, ახალ არსენალის ქუჩაზედ, არუთინოვის სახლში გარდაიცვალა ას თხუთმეტის წლის დედაკაცი მარიამ არუთინოვისა. ისეთის სალის აგებულობისა ყოფილა განსვენებული, რომ ავადმყოფობა რა არის, არა სცოდნია. განსვენებული ბევრად უფრო სალი და ჯანმრთელი იყო, ვიდრე იმის შვილიშვილები. მარიამ არუთინოვისას უკანასკნელ დრომდე თვალიც კარგად უჭრიდა და ყურთა სმენაც საკმაოდ მახვილი ჰქონდა.

*** 20-ს ამ თთვისას იმ ეზოში, სადაც ახალს სახლს აშენებენ კავკასიის დედათა ინსტიტუტისათვის, ჩამოწვა იატაკი მასალის საწყობისა, სადაც ათას ფუთამდე რკინეულობა ეწყო. ამ რკინეულობას ქვეშ მოჰყვა ორი მუშა, ოსმალეთის ქვეშევრდომი. რასაკვირველია, ორთავემ იქვე დალია სული. საბრალოები მხოლოდ ექვსის საათის შემდეგ ამოიღეს. როგორც აღმოჩნდა, იმ საწყობის ქვეშ წინად სარდაფი ყოფილა და ამ სარდაფის ჭერს ვერ შეუმაგრებია, რაც რამ მასალა ზედ ეწყო.

*** ბათუმი: ამ თთვის ცხრამეტს ბათუმის საბჭოში გაირჩა რამდენიმე საყურადღებო საქმე ამ საქმეთა შორის უფრო საყურადღებო იყო ერთი, რომელმაც დიდი ვაასი გამოიწვია ხმოსანთა და წევრთ შორის. ქალაქის გამგეობამ სთხვა საბჭოს, რომ ნება მიეცეს გამგეობას ქალაქის მამულებზე, რომელიც კერძო კაცებზე გაცემული იჯარით, საჩივრები შეიტანოს სასამართლოებში, თუ იჯარის პირობა ვინმემ დაარღვია, და აგრეთვე უჩივლოს იმ, ვისაც ქალაქის მამულები შეუტანა თავისს მამულში და დაუჩემებია. გამგეობის წევრმა ყაიანდერმა მოაგონა საბჭოს, რომ რადგანაც სადაო საქმეები ბევრი აქვს ქალაქს, ამიტომ ერხელ და უკანასკნელად მოგვეცით დასტური, რომ თითონ ჩვენ ვაწარმოვოთ ეს საჩივრები საბჭოს დაუთხოვლად, რადგანაც ყოველ თვის საბჭოს დაკითხვა ძნელია: თითოეულ საქმეზე მოხსენება უნდა შესდგეს, მოხსენება საბჭომ უნდა დაამტკიცოს და ამას ბევრი დრო და შრომა უნდაო. ამ საგანზე საყურადღებო აზრები წარმოსთქვეს ხმოსნებმა: ტერ-ასატუროვმა, სევერინმა, ლ. მჭედლიშვილმა და ქაჩხოევმა. ტერ-ასატუროვმა სთქვა, რომ ამ უფლებას ჩვენ გამგეობას ვერ მივსცემთო; მამულის თაობაზედ დავა ისეთი საქმეა, რომ საბჭო, როგორც კოლეგია, უფრო ყოველ მხრივ შეიმუშავებს, ასწონ-დასწონავს და სიფთხილით მოექცევა სადაო საქმესაო. იმისთანა საყურადღებო საქმეები, როგორც სადგილ-მამულო საქმეებია ბათუმში, არ შეიძლება მიენდოს მხოლოდ სამს წევრს გამგეობისასაო. ამაზე სევერინმა უპასუხა, რომ საბჭოს არ უნდა მიენდოს ამ გვარი საქმე, რადგანაც ხმოსნებს ნაცნობები და ნათესავები ჰყავთ და ვაითუ ნათლიმამ-ნათლიდედობამ იმოქმედოს საქმეზე და ქალაქმა ბევრი იზარალოსო. ლ. მჭედლიშვილმა და ტერ-ასატუროვმა სრულებით ხმა ჩააკმენდინეს სევერინს. ტერ-ასატუროვმა უპასუხა სევერინს, რომ ეს ჩვენი საბჭო ის დაწესებულება არ გეგონოსთ, რომელმაც მთელი ბათუმი ნათლია-ნათლიდედებს დაურიგაო. მჭედლიშვილმა მაგალითი მოიყვანა იმისა, რომ საადგილ-მამულო საქმეები არ შეიძლება გამგეობას მიენდოსო: თაიროვმა რამდენიმე ასი საჟენი მიწა ქალაქისა შეიტანა თავისს მამულში და დაიჩემა, ეს გარემოება მოვახსენე საბჭოს წევრს ყაიანდერს, მაგრამ დღემდე იმას კრინტიც არ დაუძრავს ამ საქმეზეო. ეს მაგალითი ნათლად ამტკიცებსო, სთქვა მჭედლიშვილმა: რამდენად სანდოა გამგეობა ზემო აღნიშნულს საქმეშიო. ხმოსანმა ქაჩხოევმა სთქვა, რომ გამგეობას მიეანდოთ დავა მხოლოდ იმ მამულებისა, რომლის პატრონებმა იჯარისა და სხვა პირობის სიგელები დაარღვიეს. სხვა სადაო საქმეები-კი, სადაც ქალაქს არა აქვს საჭირო სიგელები, მიენდოს ისევ საბჭოსაო. ხმოსნებმა დაამტკიცეს: დავა საქმეებისა, რომელზედაც ქალაქს წერილობითი საბუთები აქვს, მიენდოს გამგეობას, მხოლოდ დავა იმაზე, თუ ვინმემ თავისის ნებით მიითვისა რომელიმე ნაჭერი ქალაქის მიწისა, ისევ საბჭოს მიენდოსო. ამ სხდომაზე იყო დანიშნული განსახილველად აქაურის სომხის მღვდლის თხოვნა, რომ ქალაქმა მისცეს ადგილი სომხების სამრევლო სკოლისთვისაო. ეს საქმე გადასდეს შემდეგისათვის.

*** გაზეთ „კავკაზს“ შეუტყვია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს „საკატორგო“ საპყრობილე დააარსოს კავკასიაშიო. ამ საქმის გამო სამინისტროს თურმე მიწერ-მოწერა აქვს კავკასიის მთავარ-მართებელთან. სად უნდა ააშენონ ეს საპყრობილე, ჯერ არ იციან.

*** ესეც კიდევ ერთი მახვერპლი ადამიანის დახავსებულ ჩვეულებისა. დღეს გაზეთი „ახალი მიმოხილვა“ ერთ შემაძრწუნებელსა და ფრიად სამწუხარო ამბავს მოგვითხრობს ყოველის განათლებულისა და ცოტად თუ მეტად გაგებულის კაცისათვის. აი თითონ ეს ამბავი, რომელსაც სიტყვა-სიტყვით მოვიყვანთ: „ამას წინად ჩვენ დიდის სიამოვნებით აღვნიშნეთ ერთი არა-ჩვეულებრივი ამბავი კავკასიის მაჰმადიანთა შორის. ეს ამბავი ის იყო, რომ ტფილისის ერთს დედათა სასწავლებელში სწავლა დაასრულა სამმა მაჰმადიანმა ყმაწვილმა ქალმა. რაღა თქმა უნდა, ეს ამბავი საზოგადოების ყურადღების ღირსი მით უფრო იყო, რომ ადამიანს მაჰმადიანთა დედათა მდგომარეობის გაუკეთესებისა და გაუმჯობესების იმედს სახედ იყვნენ, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ასსურელნი მეფენი, როცა ჰოგვითხრობენ თავიანთ გამარჯვების ამბავს მაშინდელ ქართველებზედ, სხვათა შორის ამბობენ, დავატყვევეთო იმათი ღმერთი „ქალდი“, ანუ „ქალდისი“ და წამოვიღეთ ასსურეთშიო. ხორზაბადის სასახლის ბარელიეფნი წარმოადგენენ ერთს ამისთანა ლაშქრობას ასსურეთის მეფისას და ამ ბარელიეფის მოწმობით ლენორმანს დიდის დაწვრილებით აწერილი აქვს თურმე საკერპო ტაძარი «ქალდისისა», რომელიც ასსურთა მეფეს გაუძარცავს და სატაძრო განძი დაულად წაუღია.

ხელებს: ნუ გვგონოთ, რომ აქაოდა საბაიზმა, სპარსიზმა და პოლიტეიზმა ბინა დაიდო ქართველების რჯულში, ამით ქართველებს გონება გახსნოდეთ და მოჰმატებოდეთ რამეო. არაო, იგინი მაინც უფრო საბაიზს მისდევდნენო, რადგანაც გონება-გაუხსნელ მაშინდელ ქართველთათვის უფრო ადვილად მისაწდომი იყო ეგ პირველ-დაწყებითი და თვალად-საჩენი სარწმუნოება, ვიდრე სხვაო. თითქმის იმავე სახით, როგორც სამთავროს სასაფლაო, ქართული მატიანე გვიხატავს სარწმუნოებას ქართველებისასაო და მატიანეს გარდა თვით ბატონიშვილი ვახუშტიცაო. აქ ავტორი შემთხვევას არა ჰკარგავს კიდევ არ განიმეოროს ბევრგან განმეორებული მის მიერ კაცის მჯამელობა ქართველებისა, უთუოდ იმისათვის, რომ ამით კარგად გამოუჭედოს ყურები თავის მკითხველს, ვინიცობაა ბედი არ გაუწყრესთ და არ დაავიწყდეთო.

პირველ-დაწყებით რჯულად მეცნიერებაში ცნობილია თაყვანის ცემა ცისა: რა თეორიაც უნდა წაიმძღვაროს კაცმა, თუნდ სპენსერისა, რომელსაც პირველ დაწყებითი რჯული ადამიანისა გამოჰყავს წინაპართა სულის თაყვანის-ცემისაგან, თუნდ ამისი წინააღმდეგი თეორია სხვებისა და სხვათა შორის კარიერისა, რომელსაც სათავედ პირველ-დაწყებით სარწმუნოებისა მიღებული აქვს თვით გარე მოხვეული ბუნება და მისი უშუამავალო, პირდაპირი ზედ-მოქმედება პირველ-ყოფილ ადამიანის გრძნობა-გონებაზედ, — მაინც იქ მიხვალთ, რომ პირველ-დაწყებითი სარწმუნოება თაყვანის-ცემაა ცისა. ჩვენ ამაზედ გაბმა საუბარისა შორს წაგვიყვანს და ვისაც ჰსურს ამის თაობაზედ ვრცლად სიტყვა მოისმინოს, იმან უნდა მიმართოს სხვათა მრავალთა შორის კარიერს, რომელსაც ეს ამბავი, ჩვენის აზრით, მშვენივრად და ნათლად გამოძიებული აქვს[1]).

ეს ცის თაყვანის-მცემლობა ერთ-ღმერთობას მოასწავებდა, არა იმისთანას, რომ ეპირის-პიროს მრავალ ღმერთობას, რადგანაც მრავალ ღმერთობის აზრიც არ იყო ჯერ იმ ხანაში. ამ პირველ ყოფილ ერთ-ღმერთობას — კარიერის სიტყვით — მოჰყვა მრავალ-ღმერთობა, სახელდობრ, თაყვანის ცემა მნათობთა მზისა, მთვარისა და ვარსკვლავებისა[2]). ეს მნათობთა გაღმერთება და თაყვანება შეადგენს შემდეგს ხანას სარწმუნოებრივ გრძნობის განვითარებისას. ამ ორ ხანაში ადამიანს წარმოდგენილი აქვს ღვთაება განყენებულად; აქ ღვთაება იდეაა, აზრია და მას არავითარს ნივთიერს სახეს არ აძლევს ადამიანი არც გამოხატვით, არც გამოქანდაკებით. დიდი დრო გადის, ვიდრე ადამიანი ცალკე გამოარკვევს ხილულ ბუნებისაგან უხილავ ხორც-უსხმელს ღმერთებს და ხილულად და ხორცშესხმულად გარდაჰქმნის სალოცავად. კერპები, რომელნიც წარმოადგენენ უხილავთა ღმერთთა ან გამოხატულობით, ან გამოქანდაკებით, ახალს ხანას მოასწავებენ სარწმუნოების განვითარებისას და წარმატებისას და ძალიან წინ წასულია, პირველ დაწყებით ბუნების რჯულს რომ შეედაროს. ადამიანს დიდი და ხანგრძლივი დრო მოუნდა, დიდი წინ წაწევა განვითარების გზაზედ, ვიდრე კერპთ მსახურებამდე მიაღწევდა,

კერპთ-მსახურებაო, ამბობს ლებოკი: უცილობლად წარმოადგენს უკვე უმაღლესს ხარისხს სარწმუნოებისასა და ერთობ მოასწავებს გონების განვითარებას, აღმატებულობას, იმაზედ გაცილებით შორს, რასაც წარმოადგენს პირუტყვთა და ცის მნათობთა თაყვანისცემა. კერპობა არისო ნივთიერად გამოხატულობა ღმერთებისა და კერპთ-მსახურება კაცობრიობის წარმატებულობის უმაღლესს ხარისხს გვიმტკიცებსო. ახლა ვნახოთ იმ ხანაში, რომელსაც ჩვენი ავტორი აკუთნებს სამთავროს სასაფლაოს, ესე იგი, მეათე საუკუნიდამ მეორე საუკუნომდე ქრისტეს წინად, იყო საქართველოში კერპთ-მსახურება, თუ არა.

ჩვენ ვერ წარმოუდგენთ მკითხველს ზედ მიწევნილ საბუთს მეათე საუკუნისას ქრისტეს წინად. ხოლო მეცხრე საუკუნედამ თითქმის მეხუთე საუკუნემდე-კი დღეს მეცნიერებას ხელთა აქვს უტყუარი საბუთი იმისი, რომ ამ ხანაში ქართველების სარწმუნოება კერპთ-მსახურება ყოფილა. ეს ამბავი აღმოჩნდა ასსურელთა ლურსმულ წარწერათაგან, რომელნიც ზოგი ასსურელთ მეფეებს ეკუთვნის და ზოგი იმ ალაგების მკვიდრთა, საცა უწინ ჰბინადრებულან ქართველები. ფრანსუა ლენორმანი[3]) მოგვითხრობს, რომ ლურსმულნი წარწერანი ვანისა, Palou და არზრუმის გარეშემოსი გვიმტკიცებს, რომ იქაურნი მკვიდრნი, რომელთაც ლენორმანი ქართველებად ჰრაცხს, არამც თუ ენითა და ზნე-ჩვეულებით, არამედ სარწმუნოებითაც ერთნი იყვნენო, თუმცა-კი პოლიტიკურად ცალ-ცალკე დაყოფილ თემებს წარმოადგენდნენო. ამ წარწერილებში მოიხსენებიან აუარებელი რიცხვი როგორც იქაურების ღმერთებისა, აგრეთვე სხვებისაცაო. ზოგან აღნიშნულია კიდეც, რომ ლაშქრობის ნადავლისაგან რომელს ღმერთს რა ნაწილი დავლისა უნდა ჰრგებოდა და ზოგან ისიც არის, რამდენი რა შეუწირავთ სამღვთოთა, რამდენი და რა საკლავი დაუკლავთ.

ლენორმანის სიტყვით, ეს სარწმუნოება იმაში მდგომარეობდა, რომ თაყვანსა სცემდნენო ერთს უზენაესს სამეულს (ტრიადას). ყველა წარწერა ჯერ იწყება ამ სამ-სამობის, თუ სამეულ ღმერთების მიმართ სავედრებელითა და მერე იხსენებიან სხვა უმცირესნი, მეორე ხარისხის ღმერთებიო. ამ სამეულის უპირველეს ღმერთს ეწოდება „ქალდი“, „ქალდისი“-ო. სარიუკინი, მეფე ასურეთისა (ბიბლიის სარგონი) ამ „ქალდი“-ს იხსენიებს უმაღლეს და უპირველეს ღმერთადაო. ამ სამეულის ორ სხვა ღმერთებს ლურსმულნი წარწერანი წარმოადგენენო იდეოგრაფიულ ნიშნებით, რომელთაც თუ ასსურულად წავიკითხავთ, ‹Bin და Samas› გამოდისო[4]). ეს სახელები ხან მარტივად არიან ხსენებულნი, ხან ბრუნვათა დაბოლოვებითაო, როგორც, მაგალითებრ, ზემოხსენებული ‹ქალდისი›[5]). უკანასკნელი ორნი ღმერთნი წარმოადგენენ: ერთი ატმოსფერასა, ეთერს, ბრწყინვალე ცას, მეორე — მზეს და ‹ქალდი› შესავსებლად სამეულისა — მთვარესო[6]). რომ ეს ღმერთები კერპის

რას ჰნიშნავს ეს ‹სამეულობა› ღმერთებისა? შედარებითი მითოლოგია რომ მოვიშველიოთ, ამის პასუხს მალე ვიპოვით. ბევრს ერს ქვეყნიერობაზედ — ზოგან მიბაძვით, ზოგან დამოუკიდებლად — თვისის სარწმუნოების ღმერთნი წარმოდგენილნი ჰყოლიათ გუნდ-გუნდად უფროს-უმცროსობის და მაღალ-დაბალის ხარისხებით. თითო გუნდში მოუქცევიათ სამ-სამი ღმერთი თანასწორის ხარისხისა, ხოლო სხვა-და სხვა წოდებისა და მნიშვნელობისა. ზოგან ამისთანა სამეული გუნდი ორია, ზოგან სამიც არის და ამ სამეულთაგან წარმოშობილ არიან დანარჩენი დაბალის ხარისხის ღმერთნი. მაგალითებრ, ბაბილონსა და ქალდეაში ორი ამისთანა სამეული გუნდი იყო. პირველ ხარისხის, ანუ, უკეთ ესთქვათ, უმაღლესის ღმერთების სამეულს წარმოადგენდა ღმერთი „ანუ“ „პირველშობილი, უუძველესი ღმერთთა შორის, მამა ღმერთთა, მპყრობელი საუკუნესა“ (უკუნი=ბნელი, საუკუნე=საბნელე,

1) კარიერი: ხელოვნება კულტურის საზოგადო განვითარებასთან ერთად, ტომი I, გვ. 46 და შემდეგი.

2) საბეიზმი, რომელსაც ესე ხშირად იხსენიებს ხოლმე ჩვენი ავტორი, ჰქვიან მნათობთა თაყვანის ცემას და განსაკუთრებით უფრო ვარსკვლავებისას და ცდომილებისას.

3) წერილი დელორიესთან ლენორმანისა.

4) ბ-ნი ოქრომჭედლიშვილი გვაუწყებს, რომ შემდეგში ეს სახელები ადგილობრივ და არა ასსურულ ენის მიხედვით ასეა წაკითხულიო: Teisba და Ardini.

5) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულის ენის თვისებისამებრ თვით ეს ფორმა „ქალდი-სი“ სახელობით ბრუნვად ჩაითვლება. ქართულში ხშირია, რომ ნათესაობითი ბრუნვა სახელობითად გადაიქცევა ხოლმე, მაგალითებრ, მამა-სახლისა — მამასახლისი, ტფილისა — ტფილისი.

6) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ შედარებითი მითოლოგია ბევრს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, რომ ზოგი ერი ღმერთს მთვარისას უფრო დიდ პატივს აძლევდა, ვიდრე ღმერთს მზისას. მაგალითებრ, ძველ ქალდეველთა სარწმუნოებაში ღმერთი მთვარისა უმაღლესი და უდიდესი იყო მზის ღმერთზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღვიძებდა გულში. ამასობაში, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ, მართლაც, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა და მაჰმადიანთა ოჯახობრივს დესპოტიზმს ისე მაგრადა ჰქონდა გამდგარი ფესვი, რომ იმისი დაძვრა და შერყევა ისე ადვილად არ შეიძლებოდა... ჩვენ შევიტყეთ სარწმუნო წყაროდგან, რომ ერთი ინსტიტუტში სწავლა-შესრულებული მაჰმადიანი ყმაწვილი ქალი უკვე ჰარამხანაში მიუციათ და, მაშასადამე, ისეთს მდგომარეობაში ჩაუგდიათ, რომელიც სამარცხვინოდ მიაჩნიათ თვით მაჰმადიან მკვიდრთა მდაბიო წოდების წევრთაც-კი... ქ-ნი ა. შესულა მოხუცებულის, ცოლიანის კაცის ჰარამხანაში, ისეთის კაცისა, რომელსაც იმ წლოვანებისა თავისი საკუთარი ქალიშვილები ჰყავს. ქებინი გაუჭრიათ ამ დღეებში და ამასთან ქალის მამას პირობად ჩამოურთმევია სიძისთვის, რომ 30,000 მან. ჯარიმა გადამიხადეთ, ვინიცობაა ქებინის გაუქმება მოიწადინოთო, თუმცა ამ პირობას აზრი არა აქვს, რადგან, მუსულმანთა კანონისამებრ, ქალს არ შეუძლიან ქებინის გაუქმება ითხოვოს და კაცი-კი უბრალოდ მოშვეე მონას არ მოიცილებს თავიდგან. ტფილისის მაჰმადიან საზოგადოების გასამართლებლად უნდა ვსთქვათ, რომ ეს ხაზოგადოება ქალის მამის საქციელით სრულად აღშფოთებულია. ქალს გამოუცდელობისა და ახალგაზდობის გამო, რასაკვირველია, ვერავინ გაამტყუნებს—რაღ დასთანხმდაო, მაგრამ მამას-კი არაფრით ეპატიება და არავითარი შესაწყნარებელი მიზეზი არა აქვსო. ამ აზრს მაჰმადიანთა საზოგადოებისას, მართლაც-და, არ შეიძლება არ დაეთანხმოს ადამიანი, მით უმეტეს, რომ ის ქალი ერთად-ერთი შვილი იყო თავისის მამისა, რომელსაც საზოგადოებაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და რომელიც სიღარიბის მხრივაც სრულიად უზრუნველ-ყოფილია“.

◆◆

## საქართველოს ნაშთნი პალესტინაში და სინაის მთაზე

(Памятники грузинской старины въ Святой Землѣ и на Синаѣ, Александра Цагарели).

(დასასრული*)

აი ეს შესანიშნავი თხზულებანი:

პირველი. ქართული ხელთნაწერები და ძველი დაბეჭდილი წიგნები თავად გრუზინსკისა, რომელთა შორის 361 ხელთნაწერია და ბევრი მათგანი ეკუთვნის მეათე საუკუნეს. მათი შეკრება დაუწყიათ ქართულ ხელმწიფეების ჩამომავალთ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს, გიორგი მეცამეტეს დროს. იმერეთის პრინცესა ქეთევანი გამოჰყვა ცოლად მის შვილს და თან წამოიღო რამდენიმე ძვირფასი წიგნი მეფის სახლში. პროფ. ცაგარელს შეუდგენია სრული კატალოგი ამ ხელთნაწერებისა, რომელნიც შეადგენენ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის საკუთრებას.

*) იხ. „ივერია“, № 129.

მეორე. მდიდარი კოლლექცია, რომელიც შეადგინა სამეგრელოს თავადმა დავით დადიანმა ზოგი იმითი, რომ თითონ შეჰკრიბა და ზოგიც სამკვიდროდ მიიღო წინაპრებისაგან. დავით დადიანი გარდაიცვალა 1853 წელს. ეს ქართველი კაცი დიდი მოყვარე იყო თავის ქვეყნის მწერლობისა და შესანიშნავი ბიბლიოფილი. ზოგს წიგნზე იგი სწერს, თუ როგორ მოახერხა მისი შეძენა; აგრეთვე შეჰხვდებით იმის კრიტიკულს შენიშვნებს ზოგიერთ წიგნზე. მართალია, ამ კოლლექციაში გაცილებით ბევრია საეკკლესიო თხზულებანი, რომლებითაც ასე მდიდარია ქართული ლიტერატურა, მაგრამ 227 წიგნში შეგხვდებათ იშვიათი და მშვენიერად ნაწერი როსტომიანი, რომელიც არის გადმოქართულებული „შაჰ-ნამე“, თარგმანი ჰომიროსის «ილიადისა», პლუტარხისა, იოსებისა და სხვათა წიგნების თარგმანები. ამ კოლლექციაშივე მოიპოვება აღმოსავლეთის გმირების ზღაპრები და მოთხრობები მეთვრამეტე საუკუნისა. ამ გვარის მწერლობით საზოგადოდ ძრიელ მდიდარია ქართული ლიტერატურა. 1884 წელს თავად დადიანის შვილმა ეს ბიბლიოთეკა შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იმყოფება ტფილისში, სადაც ამ წერილის ავტორმა ნახა ბევრი მეტად ძვირფასი წიგნი.

მესამე. კოლლექცია ივერიელთა ათონის მონასტრისა. ამ ბიბლიოთეკის კატალოგი პროფ. ცაგარელმა დაჰბეჭდა 1883 წელს და ესევე წიგნები, თუმცა ნაკლების სისრულით, გამოაცხადა პირველად ბროსემ „Journal Asiatique“-ში. ამ კოლლექციაში ითვლება 86 ხელთნაწერი და მათ შორის საუცხოვოდ დაწერილი ქართული „დაბადება“ მეათე საუკუნისა.

მეოთხე. კოლლექციები იერუსალიმისა და სინაის მთისა აღწერილია პროფ. ცაგარლის თხზულებაში, რომელიც შეადგენს საგანს დღევანდელის ჩვენის წერილისას.

გარდა ამისა, 36 ცალი ხელთნაწერი პარიჟის ნაციონალურ ბიბლიოთეკაშია და 34 ცალი აქვთ ტფილისში კერძო კაცებს. პროფ. ცაგარლის ცნობით, დღეს მოიპოვება სწორედ 946 ქართული ხელთნაწერი. ამას გარდა ჯერ კიდევ შესაძლოა აღმოჩნდეს რამდენიმე ხელთ ნაწერი, თუ-კი ბეჯითად შეუდგნენ ძიებას. მაგალითად, 1881 წელს ტფილისის საარქეოლოგიო კრებაზე აჩვენებდნენ ზოგიერთ საუცხოო ქართულ ნაწერებს, რომელნიც დღესაც კერძო ხელში არიან, მეტადრე გადმოწერილი „ვეფხის-ტყაოსანი“, ეს საყვარელი ნაყოფი ქართულის მუზისა, რომელიც ხელთნაწერში ისე ძრიელა ყოფილა გავრცელებული ქართველთა შორის, როგორც ჩვენს ხალხში გავრცელებული იყო ჩოსერის „კანტერბორული ზღაპრები“.

ეს მცირეოდენი ცნობები ამ წერილისაც საკმარისია დაინახოს კაცმა, თუ რა მდიდარე ყოფილა ძველი მწერლობა საქართველოსი. იმისი კლასიკური ხანა იყო დრო მეათე საუკუნიდამ მეთორმეტემდე. მეცამეტე საუკუნეს და შემდეგ კიდევ სამს საუკუნეა ეს ქვეყანა გარდაიქმნა მსხვერპლად ბარბაროსებისა და რაღაც საოცნაურებამ მისცა ამ ხალხს ძალ-ღონე, რომ შეინარჩუნა თავისი სარწმუნოება, ენა და ხასიათი. მონგოლები, თათრები და სპარსები ცეცხლითა და ხმლით მუსრს ავლებდნენ ხალხსა და იმის ნაღვაწს, მაგრამ ქართველი ერი დღემდე ცოცხალია და

შავთა დროთ ვერა შესცვალეს
მას გული ადამანტისა;
იგივ მხნე, იგივ გულადი,
მებრძოლი შავის ბედისა.

საქართველოს მწერლობის აღდგენა დაიწყო მეჩვიდმეტე საუკუნიდამ და, წინააღმდეგ შავთა დროთა, დღემდე მოაღწია. ამ საგნის შესახებ რაც-კი საყურადღებო ვიცით რამ, მადლობელნი უნდა ვიყვნეთ პროფ. ცაგარლისა, რომლის გამოკვლევანი დაბეჭდილია ზოგი ამ წიგნში და ზოგიც იმის დანარჩენ თხზულებებში.

ქართული ენა ფილოლოგებისთვის იმდენად საყურადღებოა თავისის აგებულებით და მისი ისტორია და ლიტერატურა იმდენად მიმზიდველია ყოველის მკითხველისათვის, რომ ჩვენ, დასასრულ, შეგვიძლიან გამოვაცხადოთ იმედი, რომ პროფ. ცაგარლის მეცადინეობა — უკეთესად გააცნოს თავისი ქვეყანა ევროპას—არ ჩაივლის უნაყოფოდ.

სტ. შრ—ლი

◆◆

საბნელეთი). ეს „ანუ“ იყო ღმერთი ცისა, მისი საბძანებელი უძრავი ცაა უძრავის ვარსკვლავებით. მეორე ღმერთი ამ სამეულისა „ეა“-ა და მოასწავებს შემოქმედობის ძალს ღვთაებისას, და მესამე—„ბელ“, გამჩენელი ზესკნელისა და გამგებელი ვარსკვლავთა მსვლელობისა ცის სივრცე ზედ [7]).

ამ პირველ-ხარისხოვან სამეულისაგან ჩამოდიან მეორე სამეულის ღმერთნი: «სინ», ღმერთი მთვარისა, ძე „ბელ“-ისა, მანათობელი და გამათბობელი დედამიწისა, «ბინ», ანუ „რამან“ (სირიული «რიმონ») ღმერთია ატმოსფეროსი, წვიმისა, ჰექა-ქუხილისა და ელვის მომავლინებელი და მესამე—„სამას“ ღმერთია მზისა, «მპყრობელი ცისა, ძე «სინ»-ისა. თურანელთაც სამეულობით სწამებიათ ღმერთები. ამათგან მარტო ერთი სამეული-ღა დახსომებია ისტორიას. თურანელთა სამი უდიდესი ღმერთი ჰყოლიათ, ერთი ზესკნელს, მეორე—დედამიწას და მესამე—ქვესკნელს. ამ სამეულის გარდა ბევრნი სხვა ღმერთებიცა ჰყოლიათ, რომელთ შორისაც ზოგნი კეთილის-მყოფელნი არიან და ზოგნი ბოროტისა. აგრეთვე ეგვიპტეშიაც შენიშნულია სამეულობა ღმერთებისა [8]). სამ-სამობით დაყოფილნი გუნდნი ღმერთებისა სარწმუნოებაში აღმოჩენილია ასსურეთშიაც, რომელსაც ღმერთნი და სარწმუნოება ბაბილონისაგან მიუღია და შეუთვისებია.

თუ ვიგულვებთ, ვითომც ქართველებს სხვისაგან მიეღოთ თავისი რჯული, დაუჯერებელი არა არის-რა, რომ ეს სამეულობა ღმერთებისა შემოსულიყოს ჩვენში ან თურანელთაგან, რომელთაც ხშირად შევხვდრივართ და თითქმის მეზობლადაც ვყოფილვართ, ან ასსურელთაგან, რომელნიც ჩვენი მტერ-მეზობელნი ყოფილან და რომელთაგანაც ჩვენ ბევრი რამ სხვა გადმოგვიღია, მაგალითებრ, ხუროთ-მოძღვრება და ლურსმული წერა, რომელიც, ლენორმანის სიტყვით, ჩვენ ჩვენის ენის თვისებისამებრ მერე ცოტად თუ ბევრად გადაგვიკეთებია. შესანიშნავი ამ სამეულ ღმერთების გამო ის არის, რომ ქართველებს არამც თუ ასსურელთა ეპოქაში, მერეც მცხეთის გაძლიერების დროს ეს სამეულობა არ დაუკარგავთ. ამას ამტკიცებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც ფარნავაზის დროსაც სამეულს ღმერთებს გვისახელებს „არმაზს, გაიმს და გაცის“ და უმატებს, რომ ამასთანავე «ქართლოსის» საფლავსა ჰლოცულობდნენ და ჰფიცავდნენო.

ძალიან ჭკუას ახლოა და ადვილად საფიქრებელი, რომ ლურსმულ წარწერილში მოხსენებული „ქალდი“, „ქალდისი“ იგი „ქართლისი“ იყოს, რომელიც მერე ბიზანტიის ზედ-გავლენით „ქართლოსად“ გადაკეთდა და რომელიც ქართულმა მითოლოგიამ დაგვისახელა ქართველთა პირველ-ყოფილ წინაპრად და რომელსაც ქართველნი მერეც თაყვანსა სცემდნენ, როგორც ჩვენი მატიანე გვაუწყებს. რასაკვირველია, ამ ჩვენს ნათქვამს, ჩვენს დაახლოვებას ჩვენის მატიანის „ქართლოსისა“ ლურსმულ წარწერილის „ქალდისთან“ უფრო ძლიერი დასაბუთება სჭირია და ჩვენ ძალიან შორსა ვართ ამას რაიმე უცილობელი მნიშვნელობა მივცეთ. ჩვენ აქ ეს ამბავი მოვიხსენიეთ მარტო იმისათვის, რომ ამ მხრით ყურადღება მიექცეს და ეს საგანი გამოძიებულ იქმნას ჩვენზედ უკეთ მცოდნეთაგან. შედარებითმა მითოლოგიამ აღმოაჩინა, რომ ეს მითად გადაქცევა მართალისა, თუ მოგონილის წინაპარისა მთელს ქვეყნიერობაზედ შემჩნეულია. ტეილორი, ლებბოკი, სპენსერი და სხვანი ბევრს მაგალითს გვიჩვენებენ ამისას და იქამდინაც მიდიან, რომ მოგვითხრობენ დიდის წინაპარის, ანუ გმირის და სხვა გამოჩენილის კაცის უმაღლესს ღმერთად გადაქცევასაც. ამ სახით დღესაც მონგოლები ჩინგის-ყაენს ღმერთად ჰხადიან [9]).

ასეა თუ ისე, ორი სამეულნი ღმერთნი სჩანან ჩვენს პანტეონში, ერთი ასსურელთა ეპოქისა და მეორე მცხეთისა. აშკარაა ეს სამეულობა ღმერთებისა ჩვენშიაც, როგორც ბევრგან სხვაგან, ჩვენის ადრინდელის სარწმუნოების გარკვეულს სისტემას მოასწავებს. უყურადღებოდ დასაგდები არ არის სამ გვარი ცნობა ჩვენის მატიანისა ჩვენის უძველეს რჯულის შესახებ. ერთი ისა, რომ თავდაპირველად ქართველები ერთს ღმერთსა სცემდნენ თაყვანსაო და ეს, როგორაცა ვნახეთ, ესეც უნდა ყოფილიყო პირველ-დასაწყისში, ვითარცა კარიერი გვემოწმება საზოგადოდ, როცა პირველ-ყოფილ სარწმუნოებაზედ ჰლაპარაკობს. მას მერმედ ქართველებს, ჩვენის მატიანეს სიტყვით, მრავალღმერთობა შემოუღიათ და ბოლოს ხომ კერპთ-მსახურება. არც ერთი ეს ცნობა არ ეწინააღმდეგება ისტორიულს დანასკვნსა მაზედ, რომ ყველგან ამ კიბით უვლია რჯულის განვითარებასა და წარმატებას. მესამე ცნობა, რომელსაც, ლენორმანის სიტყვით, ისტორიული საბუთი აქვს,—ეს სამეულობაა ღმერთებისა და ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, როცა ბოლოინდელ დრომდიაც სამეულს ღმერთებს იხსენიებს, მაარ და მხარ უდგება ისტორიულს საბუთსა.

მეტად საინტერესოა გამოძიება იმისი თუ—რა მნიშვნელობის ღმერთნი არიან არმაზი, გაცი და გაიმი და რას მოასწავებდნენ მით უფრო, რომ ჩვენ, თუ არა ვცდებით, ზოგიერთს საბუთს წავაწყდით ამ საკითხის ასახსნელსა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი წერილები უამისოდაც მეტად გძელდება და ამიტომაც ამაზედ საუბარი კაცმა ცალკე სჯობს იქონიოს. ეხლა-კი ამას ვიტყვით, რომ ჩვენის ღმერთების პანტეონში ბევრი სხვა ღმერთებიც მოიპოვებიან, მაგალითებრ, „ბოჩი“. თეიმურაზ ბატონიშვილი ასე აგვიწერს ამის კერპსა:

ბოჩისასა იტყოდეს ამას: „ეხსნენ შვიდნი ხელნი, რომლითაცა ხელმწიფებდა თვითოეულითა ხელითა მათ ყოველთა სხვათა მწერვალთაგან შვიდთა მწერვალთა კავკასიისათა და თვითოეულსა ხელსა მისსა აქვნდა თვითო ფერი ხელმწიფება მოფენად სარგებლობისა, წყალობისა, გინა რისხვისა [10]). ეგ სახელვო, უმატებს მერე თეიმურაზი: შვიდნი ხელნი ბოჩისანი ნიშნავდენ შვიდთა ნათესავთა თარგამოსიანთასა, ქართლოსისა და სხვათა ეგვსთა ძმათა მისთა.

უძველესნი ღმერთნი იყვნენ კიდევ ზემოხსენებულნი „გაცი და გაიმი“, ანუ, „გაისი, თუ გაასი“. გაცი კაცის სახის კერპი იყო, ოქროსი, ფეხმდგომარე, გაიმი-კი — ვერცხლისა. ამათ გარდა ჯერ კიდევ მამასახლისობის დროს ყოფილა კერპი „ზადენი“, „ანიანი“, „დანიანი“ და ბოლოს „აფროდიტეც“-კი, რომელიც მესამე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ მითომ მეფე რევის ცოლს, სეფურის, ბერძნის ქალს მოეტანოს საბერძნეთიდამ და მცხეთას აღემართოს. ფარნავაზ მეფის დროს ხომ უპირველეს ღმერთად, ჩვენის მატიანეს სიტყვისამებრ, შეიქმნა კერპი არმაზი, რომელიც ფარნავაზმა აღმართა და ჩააყენა არმაზის მთაზედ უძველესთა კერპთა გაცისა და გაიმის შუა. არმაზის კერპი წარმოადგენდა ფეხზედ მდგომარე სპილენძის კაცს, ტანზე ეცმია ოქროს ჯაჭვი, თავს ჰხურებია ოქროსავე ჩაფხუტი, სამხრენი და თვალნი ზურმუხტისა და ბივრიტისა ჰქონია, ხელთ სჭერია ხმალი „ელვარე და ბრწყინვალე“, რომელსაც კერპი იქნევდა თურმე აქეთ-იქით და „შიშითა მისისა მიმთხვევისა და სიკვდილისათა მის მიერითა არავინ განუკრძალველად შეემთხვეოდეს“.

სამწუხაროდ ჩვენდა, არავითარი საბუთი ჯერ არ აღმოჩენილა, რომ შესაძლო ყოფილიყო გამოგვეცნა,—თვითოეული ღმერთი ამ პანტეონისა რის მომასწავებელნი არიან და რა აზრს, იდეას უწინდელის ქართველისას წარმოადგენენ. არ ვიცით საიდამ და თეიმურაზ ბატონიშვილი-კი ზოგიერთს ნიშნებს მოგვითხრობს. მაგალითებრ, ერთს ადგილას ამბობს, რომ არმაზი ნათელისაგან შობილად იყო წამებულიო. იგივე თეიმურაზ გვაუწყებს, რომ მირიან მეფე წმინდა ნინოს სასწაულთ-მოქმედებას „იხილვიდა მცირედ ორგულებითაო“ და მოჰყავს საიდამაც ამოწერილი მისი სიტყვა, წარმოთქმული წმინდა ნინოს წინაშე. ამ სიტყვისაგან სჩანს, ვითომც არმაზი და ზადენი იყვნენო ღმერთნი „სოფლის მპყრობელნი, წვიმის მომყვანებელნი, მზის მომფენელნი, ქვეყანით ნაყოფთა აღმომყვანელნი, გამომზრდელნი ქართლისანი“, ხოლო გაიმი და გაცი «ყოვლისა დაფარულისა გამომძიებელნიო».

აქ დაუჯერებელი არა არის-რა. ვისაც შედარებითის მეთოდით უსინჯავს სხვა-და-სხვა რჯულნი, რომელთა

[7]) ვებერი.
[8]) კორში.

[9]) ტეილორი: ანტროპოლოგია, გვ. 356; ლებბოკი დასაწყისი ცივილიზაციისა; სპენსერი: სოციოლოგია და სხვანი.

[10]) ეს „ბოჩი“ დღესაც დარჩენილია ჩვენში, მაგალითებრ, ქვემო იმერეთში დღესაც ბალღებს აშინებენ და ეუბნებიან, როცა გაჭირვეულების დაწყნარება ჰსურთ, დაჩუმდი, თორემ „ბოჩია მოდის, ბოჩიაო“. საკვირველი არა არის-რა, რომ ძველთაგან დარჩენილი იყოს ეს საშინელი სახელი ძველის, ზოგჯერ მრისხანე ღმერთისა.

# დღეს

22 ივნისი

**პეტერბურგი.** როგორც ისმის, კანონ-პროექტი ერობის დაწესებულებათა ცვლილების შესახებ განხილული არ იქნება სახელმწიფო საბჭოს წლევანდელს სესსიაში. მას შემდეგ, რაც სათემო უფროსები დაინიშნებიან, ერობის და წესებულებათა გადაწყვეტილებაზე საჩივრები განიხილება სამაზრო სამართველოებში. ამ სამართველოებს თავმჯდომარედ ეყოლებათ თავად აზნაურთა წინამძღოლები და ორი განყოფილება ექნებათ: საადმინისტრაციო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სათემო უფროსები და სამოსამართლო, სადაც მონაწილენი იქნებიან მომრიგებელნი მოსამართლენი. სამაზრო სამართველოს გადაწყვეტილებაზე საჩივრებს განიხილავენ გუბერნიის სამართველონი, სადაც თავმჯდომარედ ირიცხება გუბერნატორი, სასამართლოს სამართველოს საქმეების შესახებ თავმჯდომარეობს თავმჯდომარე ოლქის სასამართლოსი. საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთ არჩევა ისევ ერობის საქმე იქნება.

---

## პეტერბურგის ბირჟა, 20 ივნისი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებული. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 73 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 154¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 269 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 244 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდრო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩვენი (1889) წელიწდიაა ქვეყნის შექმნიდამ 7397.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამის ქორონიკონი—უპა=481 წლის. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი მე=45 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1889 წლის ზედ-ნადებია—6.

თიბათვე 30 დღით არის

**23 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. აგრიპინასი. კათოლ. აგრიპინასივე. სომეხ. მარხვაა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—30, ჩადის 7—37. მთვარე 6 დღისაა.

**24 დღე შაბათი.** შობა წმ. წინასწარმეტყველისა, წინამორბედისა და ნათლის-მცემლისა იოანესი. კათოლ. იგივე. სომეხ. წმ. ნაწილის პოვნა გრიგოლ განმანათლებელისა. გახსნილება. მაჰმად. მე-8 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—31, ჩადის 7—37. მთვარე 7 დღისაა.

**25 დღე კვირა.** წმ. და ღირსის მოწ. თებრონიასი. კათოლ. წმ. ვილჰელმისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-9 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—37. მთვარე 8 დღისაა.

**26 დღე ორშაბათი.** ღირსისა მამისა დავით თესალონიკელისა. კათოლ. წმ. პელაგიასი. სომეხ. წმ. ანტონისა, თეოფილესი, ანიქტასი და ფოტინესი. მაჰმად. მე-10 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—36. მთვარე 9 დღისაა.

## მიმოსვლა ცეცხლის გემების შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

ძაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით სადამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები.


## განცხადებანი

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

**ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ**

**въ образцахъ,**

**пер. И. Ф. Тхоржевскаго.**

ფასი 30 კაპ.

---

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | |
|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთა . | მან კაპ. |
| ვისა . . . . . . . . . | „ 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ 10 |
| ლოცვანი, დამბაშიძისა . . | „ 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . | „ 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. დამბაშიძისა . . . . . | „ 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. დამბაშიძისა. . . . . . . | „ 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ 10 |


---

ცნობაც მეცნიერებას დღეს ხელთა აქვს, იმას ეცოდინება, რომ ძალნი სოფლის - მპყრობელობისა, მზისა და ნათელის მომფენელობისა, წვიმის მომყვანელობისა, ნაყოფთა აღმომცენებლობისა და სხვა ამისთანა მოვლენისა გაღმერთებულნი იყვნენ ყველა ერისაგან მთელს დედამიწის ზურგზედ. ჯერ მინამ მეცნიერება თავის უტყუარის მცნებით არ მიჰშველებია ადამიანს გაგებად ბუნების მოვლენისა, ყველა ეს ძალნი კაცის გონებისათვის მიუწდომელნი და გამოუცნობელნი არიან. გონება-კი ადამიანისა იმ თვისებისაა, რომ რა ხარისხზედაც გინა იდგეს კაცი—ველურია, თუ განათლებული—ყოველთვის წინ უდგა ამ მრავალ ფერ ქვეყანაში ჰირველი საკითხი: საიდამ რაა და როგორ? ტეილორი ამბობს, რომ ესეთი საკითხები მარტო განათლებულის კაცის კუთვნილებას არ შეადგენს და ველურს კაცსაც ისე აეკვიატება ხოლმე, როგორც მეცნიერებით გონებაგახსნილსაო.

რაკი ესეა და ბუნების დიდი მოვლენანი უმეცრო კაცისათვის გაუგებარნი არიან, მაშ რა ჰქნას ახლად ფეხ ადგმულმა გონებამ კაცისამ, თუ მიზეზად ყოველ ამისთანა მოვლენისა არ იწამოს რაღაც ყოვლად შემძლებელი, უხილავი არსება და იმას არ მიაწეროს შექმნა და მოვლინება ყოველ იმისა, რის მიზეზი და სათავეც თვითონ ვერ გამოუცვნია და ვერ მისწვდომია. აქედამ არის წარმომდგარი ის, რომ უწინდელ დროების ერნი და ეხლაც ველურნი ყველა ამისთანა მოვლენის ასახსნელად ცალკე ღმერთსა ჰქმნიან და ღმერთი რომ ყოვლად შემძლებელია, მზე—ეს დიდებული მნათობი, ნათელის მომფენელი, სიცოცხლის მომნიჭებელი, მთვარე, ვარსკვლავი, ქარი, წვიმა, ჰექა-ქუხილი, ელვა, თვითონ ხეც კი, რომელიც ერთ ბეწო თესლისაგან რაღაც დაფარულისა და გონება-მიუწდომელის ძალით მრავალ შტოიან უშველებელ საჩრდილოებლად გადიქცევა ხოლმე—ყველა ეს განსაცვიფრელი ამბავი უმეცრო კაცისათვის საიდუმლოებაა, დაფარული, უხილავი ყოვლად შემძლებელობაა და აქედამ დიდი მანძილი არ არის ამ უხილავის ძალის გაღმერთებამდე. სხვა-და-სხვა რჯულთა, სხვა-და-სხვა ერთა შედარება გვიმტკიცებს, რომ ადამიანის გონებას ყველგან ამ გზით უვლია და ყველა მოვლენასა, თუ საგანში ცალკე მიუწდომელი ძალი უგულვებია და ცალკე ღმერთი შეუქმნია ამ ძალის მომასწავებლად, მიზეზად და დასაბამად. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოველ ამ შემთხვევაში ძალია საგნისა გაღმერთებული ხოლმე და არა თვითონ საგანი, მაგალითებრ, ძალი მზისა, რომელიც ნათელსა და სითბოს აფენინებს და არა თვითონ მზე.

ამ ერთ გზად სვლას ადამიანის გონებისას ერთ სახის დასკნაც მოჰყვებოდა და ამიტომაც ვხედავთ, საოცარს მსგავსებას რჯულისას სხვა-დასხვა ერში, რომელნიც თავის დღეში ისტორიის გზაზედ ერთმანეთს არ შეჰხვედრიან. მგზავსება-კი ისე გასაოცარია, თითქო ერთმანეთისაგან მიუღიათ, ერთმანეთისათვის მიუბაძავთო მაშინ, როდესაც როგორც სივრცით, ისეც ყოველისფრით ერთმანეთზედ მიუწდომელად დაშორებულნი ყოფილან და არიან. სეისი, რომელიც თვითონ სახელ-გათქმულს სპენსერსაც-კი ამისთანაებში მოწმად მოჰყავს, ამბობს, რომ სწორედ ეს გარემოება (დაუმოკიდებლად მსგავსება) ამტკიცებსო, რომ ბუნება ადამიანისა—სემიტია, თუ არიელი, ზანგია, თუ თეთრი, დიდ-თავა, თუ წვრილ-თავა, ყველგან ერთი და იგივეა და თუ გარემოებანი, რომელთ შორისაც ადამიანი ჰტრიალებს, ერთი და იგივეა, თვითონ მათი შედეგიც ერთი და იგივე იქნებაო, ერთმანეთს ევგვანებაო. ამიტომაც გვენება, მსგავსება რჯულისა, ანუ ღმერთებისა ყოველთვის არა ჰნიშნავს ერთის ერისაგან მეორის მიერ მიღებას. აქ შესაძლოა, ერთმა ერმა თავის თავად ისეთივე რჯული შეიქმნას, როგორც სხვა ერმა, მსგავს ბუნებასა და გარემოებაში მყოფმა.

ამიტომაც ერთისა და იმავე თვისებისა და მნიშვნელობის ღმერთნი, ხოლო სახელების სხვაობით-კი, ყველა ერში მოიპოვებიან. შედარებითი მითოლოგია საოცარის, მაგრამ უტყუარის საბუთებით გვიმტკიცებს ამას და მეტის-მეტი კადნიერება არ იქნება ჩვენის მხრით, რომ ჩვენც, თეიმურაზის სიტყვისამებრ, ესევე უწინდელ ქართველებში ვიგულვოთ.

გარდა იმისა, რომ ქართველთა კერპთ-მსახურება მტკიცდება იმისთანა უცილობელ საბუთით, როგორიც ლენორმანს მოჰყავს, ისიც დამტკიცებულად ჩასათვლელია, რომ ქართველებს სარწმუნოებური წესი, რიგი და სისტემა უნდა ჰქონებოდათ კარგად გარკვეული. უამისოდ ძნელად წარმოსადგენია კერპთ-მსახურება, რომელიც, როგორც უფრო რთული და განვითარებული რჯული, წესსა, რიგსა და სისტემას ითხოვს ლოცვისას, თაყვანის-ცემისას, სხვერპლის შეწირვისას და მებრევ სხვას. თუნდ ეგეც არ იყოს, თვით იგი ამბავი, რომ მაშინდელ ქართველებს საკერპო ტაძრები ჰქონიათ, მერე იმისთანა სატაძრო განძითა და ავეჯით, რომ თვითონ ასსურელთა მეფენიც-კი ამაების მოტაცებასა და წაღებას ჰქადულობენ, პირდაპირ გვეუბნება ამ რიგისა და წესის არსებობას. რაკი ტაძარია, იქ ლოცვაც არის და სხვერპლის შეწირვაცა; რაკი ლოცვა და შეწირვაა, იქ მღდელმსახურებაც არის და რაკი მღვდელმსახურებაა, იქ მაღალ-დაბალნი, უფროს-უმცროსნი მსახურნიც არიან ტაძრისა, თუ კერპებისა და ნუ თუ ყოველივე ეს უწესოდ, ურიგოდ და უსისტემოდ შესაძლებელია? ნუ თუ ყოველ ამის ამსრულებელი რჯული წესსა და რიგში ჩაუგდებელი, სისტემაში მოუყვანელი უნდა იყოს?

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ თუ არა საკუთრივ მეათე საუკუნიდამ ქრისტეს წინად, მეცხრიდამ მაინც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქართველების რჯული კერპთ-მსახურება ყოფილა ქრისტეს რჯულზედ მოქცევამდე. ჩვენ ლებბოკით ვიმოწმეთ, რომ კერპთ-მსახურება ძალიან შორს გაცილებულია პირველ-დაწყებით სარწმუნოებისაგან და წარმოადგენს უფრო უმაღლესს ხარისხს რჯულის განვითარებისას და წარმატებისას, ვიდრე მნათობთა მსახურება და თაყვანის-ცემა. თუ ლებბოკის სიტყვას არ დაიჯერებს ბაიერნის ჩვენი ბრძად დამჯერი ავტორი Письма о Грузіи-სა, კარიერი მაინც გადიკითხოს, ის კარიერი, რომელსაც ასე ხშირად თვითონვე იმოწმებს ხოლმე თავის წერილებში. სხვებს აღარ ვიტყვით, იმიტომ-რომ ჩვენი ავტორი ამისთანაებს ვერ ეწყობა, რადგანაც თავის პირველ წერილის 49 გვერდზედ ამბობს:

> Для этого понадобилось бы много кропотливаго, скучнаго труда, къ которому совсѣмъ не располагаетъ Кавказъ съ его вѣчно-яснымъ небомъ и жгучимъ (და суровая „ვაი“!!!) солнцемъ[11]), погружающимъ въ сладкое far niente.

[11]) ეგ მაშინ იყო, როცა ჰსურდა ქართველების კაცის მჭამლობა დაემტკიცებინა, ეხლა-კი, როცა თავისი უვიცობა უნდა შეგვაწყნარებინოს და შეგვანდობინოს, ის „Суровая, горная природа“ შეიცვალა, ცაც მოიწმინდა და მზეც გაფიცხდა.

იყოს ნება მისი მაგ „сладкое far niente“-ს შესახებ, ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ ზემო ნაჩვენები გზა სარწმუნოების მსვლელობისა სრულებითაც არა სცოდნია ჩვენს ავტორს, თორემ როგორ იტყოდა, ვითომ მეათე საუკუნედამ დაწყებული ქრისტეს წინად ქართველებს პირველ დაწყებითი რჯული ჰქონდათო მაშინ, როდესაც კერპთ-მსახურება ჰქონებიათ, ესე იგი, დიდად შორს გავლილი და წინ-წასული რჯული. ლენორმანის მოკლე, მაგრამ დასაბუთებულ სიტყვიდამვე სჩანს, რომ იგი რჯული გარკვეული, სისტემასა და წესში ჩაწყობილი ყოფილა და თუ ჩვენი ავტორი თეიმურაზს ბატონიშვილსაც დაუჯერებს, მაშინ ხომ მთლად და დაწვრილებით შეიტყობს ამ წესისა და რიგის ამბავს. დავარწმუნებთ, რომ თეიმურაზი ამისთანაებში უფრო სარწმუნოა, ვიდრე ჩვენის ავტორის ბაიერნი.

მაშ რიღას პატრონი გვეუბნება და რამდენჯერმე გვიმეორებს, ვითომც ქართველებს ისეთი რჯული ჰქონებოდეთ, რომ მისი არც თავი იცოდნენ, არც ბოლო, ესე იგი უწესო და ურიგო იყოო. აშკარაა, ამაშიაც ჩვენი ავტორი, погруженный въ сладкое far niente, მართალს გაჰქცევია და ტყუილს გადაჰხვევნია. ამასა ჰქვიან „однимъ штрихомъ обнять“, რომელიც ჩვენმა ავტორმა ასე თავ-მოწონებით დაიქადა Новое Обозрѣніе-ს ფელეტონში. დალოცვილს ბაქს ხომ არავინ ართმევდა, ორის штрихъ-ით ცდილიყო გაეგო რამ, რაკი მისი ერთი штрихъ-ი ასე ჰცუღლუტობს ხოლმე და ამისთანა ხათაბალაში ჰხვევს. თუნდ მესამე штрихъ-იც ეშველია, რაკი ეგრე იყო, ვინ დაემდურებოდა, მაგრამ

თუ კაცი თვითონ არ არის,
რას არგებს მრავალ-штрихъ-ობა.

Дов. ценз. Тифлисъ 22-го Іюня 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე